

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N17 - კურიერ სერვისი

1. **კურიერ სერვისით კლიენტს** საშუალება აქვს **ბანკისგან** მიიღოს და უკან გაუგზავნოს **ბანკს** გარკვეული სახის დოკუმენტაცია საქართველოს ტერიტორიაზე ერთი ქალაქის ფარგლებში.
2. **კურიერ სერვისით** სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ **საბანკო დღის** განმავლობაში, თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილება არ მიიღებს.
3. **კურიერ სერვისით** სარგებლობისათვის **კლიენტის** მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს ავტორიზებული (**ბანკში** რეგისტრირებული) **კლიენტის** ტელეფონის ნომრის ან **იმეილ ბანკის** მეშვეობით.
4. **კურიერ სერვისის** მოთხოვნის და სარგებლობის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია:
 - 4.1. ზუსტად მიუთითოს **ბანკს** მისამართი სადაც უნდა გამოცხადდეს კურიერი.
 - 4.2. წარუდგინოს კურიერს საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
 - 4.3. ჩაიბაროს კონვერტი პირადად.
 - 4.4. შეამოწმოს მისთვის წარდგენილი კონვერტისა და ლუქის მთლიანობა. კონვერტის ან/და ლუქის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** და აცნობოს აღნიშნული ფაქტის თაობაზე.
 - 4.5. ხელი მოაწეროს მიღებულ დოკუმენტაციას (ხელმოწერის საჭიროების შემთხვევაში) და მიღებული ამანათის ჩაბარების შესაბამის დოკუმენტს პირადად, კურიერის თანდასწრებით და **ბანკში** დაფიქსირებული ფაქსიმილიეს შესაბამისად.
 - 4.6. არ გაანდოს კურიერს მიღებული/გაგზავნილი დოკუმენტ(ებ)ის შინაარსი და არ გადასცეს კონვერტი კურიერს.
 - 4.7. დოკუმენტაციის **ბანკში** უკან გაგზავნის საჭიროების შემთხვევაში, მოათავსოს დოკუმენტაცია **ბანკის** მიერ გაგზავნილ ცარიელ კონვერტში და კურიერისთვის ჩაბარებამდე სათანადო წესით დალუქოს იგი.
5. **კურიერ სერვისით** სარგებლობისათვის **კლიენტი** ვალდებულია გაიაროს იდენტიფიკაცია, როგორც **ბანკში**, ასევე კურიერთან, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
 - 5.1. **ბანკი** უფლებამოსილია:
 - 5.1.1. დაადგინოს გარკვეული წესები და პირობები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება თუ რომელი დოკუმენტაციის გაგზავნა არის შესაძლებელი **კურიერ სერვისის** საშუალებით და უარი განაცხადოს **კურიერ სერვისის** განხორციელებაზე, თუ დარღვეულია აღნიშნული წესები და პირობები;
 - 5.1.2. უარი განაცხადოს **კურიერ სერვისის** შესრულებაზე იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მხრიდან დარღვეულია **ხელშეკრულებით** ნაკისრი რომელიმე ვალდებულება.